

„ზოგჯერ ბევრი იმათგანი, ვინც მოწოდებულია აღკვეთდეს უწყესრიგობას, თვითონ არის დასაჭერი“.



საქმე



ოღონდ ცხოვრება
 ნუ ჩაეფლობა
 ჭაობში
 მაღალფარდოვანების,
 იყოს სიტყვის და
 საქმის ერთობა,
 არა — ფრაზებით
 საუსუ თავეები!
 ნუ — დაპირება!
 მთელი ძალ-ღონით —
 საქმე ბევრი და
 სიტყვა ნაკლებად!
 და რაც ყველაზე
 მეტად გვალბონებს,
 არა — სინდისით
 ვალბატაკება!
 გამარჯვებები
 თვითონ მოგვივა,
 ყველაფერს შეძლებს
 ძალა უღვევი,
 ოღონდ ახალმა
 ტექნოლოგიამ
 არ გაამკრთალოს
 ჩვენი სულები!
 ყველამ თავისი
 კერძი იწვნიოს,
 ყველამ საერთო
 საქმე ვადიდოთ,
 ფალთაბანდებმა
 ოღონდ ირწმუნონ,
 რომ აღარ არის
 ახლა მათი დრო!
 მე მწამს და ამას
 ვიტყვოდი აქვე,
 ჩვენს საქმეს არსად
 გაუვა წყალი,
 თუ პარტიელის
 სიტყვას და საქმეს
 მუდამ ექნება
 სიმტკიცე რვალის!
 ოღონდ — ნაკლები
 პარადულობა!
 ოღონდ — ნაკლები
 პირადულობა!
 სიმართლე იყოს
 მართლა სიმართლე!
 სინათლე იყოს
 მართლა სინათლე!
 გზა არნახული
 დაწყებულია —
 შესაფერისი
 ქვეყნის და ხალხის!
 ვიაროთ ამ გზით,
 როგორც ვვივლია! —
 სხვაგვარად, მჯერა,
 სიცოცხლე არც ღირს!

თარგმნა ალექსანდრე ტაბატაძე

ლენინსკი

- **როცა** დროს უსწრებთ, ნუ გაუსწრებთ მოვლენებსაც!
- **გამომგონებელს** მხოლოდ ერთი რამ მოეთხრება — გამოგონება! დანარჩენს თანაავტორები მოუვლიან.
- **თუ** შენი სინდისი ხელს უშლის შენს სამუშაოს, რომელიმე უნდა შეცვალო!
- **მსოფლოდ** სკლეროზიანებს შეუძლიათ შეყვარება ჭკუის დაკარგვამდე.
- **თუ** ახალი სიტყვა ვერ გაიგეს, იგი ნამდვილად ახალია.
- **სულელურ** მდგომარეობაში ყოფნა უხერხულია, უხერხულ მდგომარეობაში ყოფნა — სისულელე.
- **ზოგჯერ** წონაში ბედის სასწორზეც აკლებენ.


„ლიბერალურანია გაზება“

- **თუ** ნაკლოვანებებს ადგილი აქვთ, გამოდის, რომ მათ ვიღაცამ დაუთმო ეს ადგილი.
- **საზოგადო** საქმის ჩაგდება ყველაზე იოლია ზოგადი ფრაზებით.
- **სწავლობდა** მხოლოდ სხვის შეცდომებზე, თავისებს ასეთებად არ თვლიდა.
- **მაბარნი** სასმელეები კოლექტივს ვერ ამაგრებს!

„კომუნისტური გაზება“


„საზოგადო მოღონება, ჩამორჩენილობა, ის, თუ არ არის მოძრაობა, ურომლისოდაც, როგორც ცნობილია, ყოველგვარი ორგანიზმი განწირულია“.

ვიმუშავოთ ახლებურად!



ნახ. მ. აბაშიძისა

— მე, ძმაო, ახლებურად დავიწყე მუშაობა: მთელი სამუშაო დღის განმავლობაში სულ ასე ვმოძრაობ!



— მამიჯან, დაიკრებ?! დღეს ინსტიტუტის ეზოდან მანქანა კინალამ ამიწიეს!
— ჭკულიდან ავიწიევი! რას უყურებს რექტორატი?!



მაგისტროვოი - მასტეროვი

ფალატონი

თუ გითხრათ ვინმემ, ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო, არ დაუჯეროთ და მაშინვე მაგალითი მოუყვანეთ!..
თუ ასეთი საუბრის დროს საგარეუბნო მატარებელში ზინხართ და თქვენს ირგვლივ გამშავებით აბოლბებენ, იპურჭყებიან და იგინებინან, რევიზორის გამოჩენისას კი ერთი გნიასი ტყდება და მგზავრების ნაწილი სხვა ვაგონისაკენ მიიპარება, მით უკეთესი, იდეალური მგზავრობის მაგალითის მოსაყვანად შორს წასვლა არ დაგჭირდებათ — ხაშურ-ზესტაფონის მატარებელს დაუსახელებთ! ეტყვიით, რომ ეს არის პირველი მერცხალი და მალე ისეთ გაზაფხულს მოიყვანს, რომ ავი თვალთ არ ინახებოდეს-თქო!
კარგად გარეცხილ, გაკრიალებულ, ასე ვთქვათ, სანჰიგიენურად დამუშავებულ, მეღებოილ, გალაქულ და განიავებულ ვაგონებში ძალიან კულტურული და დისციპლინიანი მგზავრები ისხდებიან, სიგარეტის მოსაწევედ ტამბურებში გავლენ და ნაჭამსა და ნარჩენს კი არა, ასანთის ღერსაც არ დააგდებენ იატაკზე, არც „დურაჩკას“ ითამაშებენ და არც „ჯოკერს“, არც „ბურას“, ნასვამ მდგომარეობაში გამოჩენას სომ აბა, ვინ იკადრებს და ასე მოიქცევიან ზესტაფონ-ხაშურის

მატარებლის, ანუ „მასტეროვის“ მაგალითით.
გინახავთ „მასტეროვი“?! მედარხართ მის რომელიმე ვაგონში?! არა, სომ?!
მხოლოდ შორიდან დაგინახავთ?! არც ეგ არის ცუდი, მაგრამ გარედან, თუნდაც ანლოდან რას დაინახავდით, თუნდაც გამადიდებელი შუშა მოგემარჯვებინათ?!
„მასტეროვი“ განგებ არ ირეცხება, მისი სარკმლებიც იმიტომაა მტვრითა და ჭუჭყით დაბინდული, რომ მეტი სიმყუდროვე შეიქმნას ვაგონებში, აქ ჭუჭყი ფარდების მაგივრობას სწევს და მგზავრებს ავი თვალისაგან იცავს, ვაგონების ასეთი კომფორტი კონსპირაციული მგზავრობის საშუალებასაც იძლევა, სამსახურიდან ადრე გაპარულებს ან სამსახურში გვიან მიმავალთ კაციშვილი თვალს ვერ მოჰკრავს, რადგან უფროსები მიჩვეული არ არიან „მასტერულ“ მგზავრობას, ქუდი რომ შეუფრდო, გამოსატანად არ შევლენ მის არც ერთ ვაგონში!..
„მასტეროვის“ კი სულ არ ენაღვლება, ვინ როდის მიეჩვევა ასეთი კომფორტი მგზავრობას, სადაც ყველაფრის ნება გაქვს. დამნახავი კი არავინ არის. მიდის და მიჭიკჭიკებს პირველი მერცხალივით ხან ზესტაფონისაკენ, ხან ხაშურისაკენ და ამ ჭიკჭიკს ხან ორსაათხანეგარს უნდება, ხან — ოთხსაათხანეგარს!.. და ეს ჭიკჭიკი სამგზავრო კომფორტის ერთი უმთავრესი სახეობაა!
ისე რომ, მგზავრობა კულტურულ მომსახურებაში აუცილებლად დადგება გაზაფხული და მას ერთი მერცხალი „მასტეროვი“ მოიყვანს!

არდაინდო არდაშენი

ღიზ ბრათი ახალსოფლიდან

მცხეთაში, საგურამოსთან, ახლა ახალსოფელი (ჩვენს გასაჭირზე ვინც დაწერს, დედა უცოცხლოს მშობელი).
სოფელში არ გვაქვს არც კლუბი, არც სკოლა, აღარც მედპუნქტი.. წყალსაც ვნატრულობთ, ვიხრჩობით, წყურვილით ძალზე შევწუხდით!..
წყლის გასაყვანად მარტოკა დაპირებები არ კმარა!.. ვვლით ბზიანის ხევიდან წყაროს წყალს ცივს და ანკარას!
მაღაზია გვაქვს, — ნუ იტყვიო! — უხეირო და ფინაჩი, დახლები მოწყობილია ლუღუ შაურის ბინაში..
ჩვენც ვსარგებლობდით სიკეთით! — გვგონია, უკვე დაღდა დროს.. ავად რომ გავხდეთ, ვკვდებოდეთ, ხმას ვერ მივაწვდენთ „სასწრაფოს“!
ვეღარ ვეღირსეთ ტელეფონს, თუმც ვგვირდებოდნენ ოდესდაც!.. მოკლედ, ეს ბარის სოფელი ჩამორჩა მთიან სოფლებსაც!..
ელექტრობოძებს არვინ ცვლის, შუქი ხანდახან ციაგობს!.. გვიშველე ახალსოფლელებს, ჩვენო ძვირფასო ნიანგო!

ახალსოფლელთა დავალებით
ვანო ცინცაძე



უელატონი

თბილისის საქარხნო რაიონის აღმასკომის სახელმწიფო დაზღვევის ინსპექტორის შოთა მელქაძის კაბინეტიდან მალა-ლი კაცი გამოვიდა. მელქაძესთან მიღებაზე მომლოდინეთ ღიმილით გადახედა, ხელი მაღლა ასწია, რიგში მდგომთ ოთხი თითი დაანახვა და სისხარულით დატოვა მოსაცდელი..

— ავთანდილ ბეროშვილი განლაგართ, ბატონო! — მოკრძალებით მიმართა კაბინეტის პატრონს შემოსულმა, — მე, მე ბინის...

— ვიცი, ვიცი, — შეაწვევებინა მელქაძემ, — სახელი და გვარი კარგი გქონია, თანაც ვიცი, რომ პატიოსანი ხარ და შეიძლება გენდოს კაცი! ამდენი ხანია დადინარ აქ, ნუთუ ვერ ხვდები, მარტო მაგ ქაღალდებით ბინას რომ ვერ მიიღებ?! მე ვენდობი შენს პატიოსნებას და ამიტომ პირდაპირ მითხარი, რამდენი შეგიძლია გაი-ლო!.. ნუ, მომაცდენ, სომ უყურებ, რამდენი ხალხი მელოდება?! ამას ხომ ხედავ?! რა არის ეს?! — მელქაძემ მაგიდაზე თითები აათამაშა.

— მაგას რა მიხვედრა უნდა, შოთა ბატონო?! თითებია მაგი!..

— ჰოლად, მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, მიხვდი! ეს რამდენი თითია?

ბეროშვილი დაკვირვებით დააცქერდა მელქაძის საჩვენებელ თითს.

— ერთი თითია!

— ბიჭოს! შენ არცთუ ისე გულუბრყვილო კაცი ჩანხარ! სწორია! ეს ერთი თითია! ახლა ის თუ იცი, რა ღირს ერთი თითი?!

— თითის ღირებულება შენ უნდა თქვა, ბატონო!..

— აბა, არ გცოდნია! შექსპირმა, იცი, რა თქვა?

— ?!

— მოკლე სიტყვა ჰკუა სულისაო!..

— შექსპირმა, ბატონო შოთა, ისიც კი თქვა, რომ ზოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვაო!..

უზარმაზარ საწერ მაგიდასთან მჯდომი მელქაძე ოდნავ შედრკა: — ბიჭოს, შენ რა სენტენციებს მიკითხავ?! რასან ვერ მიხვდი, მე გიტყვი: ერთი თითი 1000 მანთი ღირს!..

— მერედა, ადამიანს ხომ ხელეზე ათი თითი აქვს?!

— ნუ შეშინდი! რასან შექსპირი შენც კარგად გცოდნია, მისი ხათ-რით მხოლოდ ჩემი მარცხენა ხელის სუთი თითის საფასურს ავი-ღებ, ესე იგი, 5000 მანეთი დაგოჯდებათ სამოთახიანი ბინა! ისე, არ იფიქრო, რომ ეს ფული მარტო მე უნდა ჩავიღო ჯიბეში — აღმას-კომის ერთ-ერთ ხელმძღვანელ მუშაკსაც უნდა გადავცე!..

— ბატონო შოთა, მე მხოლოდ ორ თითნახევარი მაქვს, ესე იგი, 2500 მანეთი. დანარჩენი თითების საფასურსაც ამ ორიოდე დღეში მოგიტანთ, მხოლოდ არ დაგაუიწყდეთ, წნევიანი სიდედრი მყავს და ბინა აუცილებლად მეორე სართულზე უნდა იყოს! — ბეროშვილმა 2500-მანეთიანი შეკვრა მაგიდაზე დალაგებული ქაღალდების ქვეშ

ამოდო. — დანარჩენი თითების საფასურს მერე მოგართმევთ, ორდერს რომ გადმომცემთ! — ბეროშვილი გაღიმებული გამოვიდა მელქაძის კაბინეტიდან.

საქარხნო რაიონში ძალზე პოპულარული გახდა მელქაძის თითები. მართალია, მისი თითი ძალზე ძვირად ფასობდა, მაგრამ ბევრს ხელს აძლევდა, თუმცა ბევრსაც ეძვირებოდა, მაგრამ ძალა აღმართოსა სწავდა!..

ამიტომ იყო, რომ ჯ. გაბრიაძემ უსიტყვოდ ჩაუთვალა მელქაძეს ორი ოთხის ფასად სუთი თითის საფასური — 5000 მანეთი, გ. ლო-ლაძემ — 3900 მანეთი, თ. კირვალიძემ — 2600 მანეთი, ჯ. მჭედლი-ძემ — 1300 მანეთი, ე. კუსრაშვილმა — 3000 მანეთი, ი. ჯირვალ-ძემ — 1000 მანეთი, ვ. ბერიანიძემ — 1000 მანეთი... მართალია, მელქაძეს, როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს, ორივე ხელზე 10 თითი ჰქონდა, მაგრამ მან დასახელებული პირებისგან თითქმის 36 თითის საფასური — 35800 მანეთი აიღო და მიითვისა!

დაბოლოს, მელქაძის თითებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებიც დაინტერესდნენ და, როგორც წესია, მისი თითების ანა-ბეჭდებიც აიღეს!..


შოთა მელქაძეს — ამ ათითიან კაცს — სასამართლოს განაჩენით 9 წლით შეუფარდეს თავისუფლების აღკვეთა სასჯელის გაძლიერე-ბული რეჟიმის კოლონიაში მოხდით. ეს დრო საკმარისი იქნება იმისათვის, რომ მან, ამჯერად მაინც, დაიმასსოვროს შექსპირის ერთი შეგონება: ერთ ცეცხლს მეორე ცეცხლი გაანვლებს!

ჯაალ მესხვერისარი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

„ზნეოგაზე არ უნდა ვალაპარაკოთ უზნეო პიროვნებანი“

ნ.ს. ნ. აკვირებენიასი



ნეგატივი: — კიდევ უფრო შეუპოვარი ბრძო-ლა უნდა გამოვუცხადოთ ნეგატიურ მოვლენებს!..

ხაყუღ ჩიღოჩივა საჭიჩუღ - იჩიიხიიუღი ღიჩივა



ქართული
ლიტერატურა

სუპერმოყვარული

თავის გზაზე უჩუმრად და უხმაუროდ მიდიოდა, ამიტომაც ყველა თვლიდა ტუტუცად და იდიოტად.

ის კი იმათ ეძახოდა ტუტუცებს და იდიოტებს, შვიდი აგარაკის პატრონს ცოლიც ჰყავდა შვიდიოდე.

აქედრებდა მის ბინაში ელექტრონულ სიმებს „სონი“. თაროს სრიდა ფლომური და დიუმა და სტივენსონი!..

ერთ კვირაში მოულობდა სხვებისათვის წლიურ მარაგს. მის ჩამოსვლას შენატროდა იალტა და იურმალა!..

ასწავლიდა მეზობლის ბიჭს; „ნუ მიბაძავ იმგენს, ძია!..“ (რა თქმა უნდა, გულისხმობდა „საწყალ ინტელიგენციას“).

იყო სუპერმოყვარული უცხოურის, განა ჩვენის?! არაფერი აკლდა, გარდა, გარდა.., სუპერგანაჩენის!



განგაილება

(მინაწერი
ფსევდონიმის
„რჩეულზე“)

ყდა — მოსირმული!..
შიგნით
ვერ მოვიძიე ლექსი!
მაღალი ბეჭდვის წესი!..
აბალი დონის წიგნი!..

მედროვე

ყალბი დიდების
აბი აბრუებს,
როცა თანამდგომს
აბიაბრუებს!..

თუმც კი ზის
ბროლსა და ფაიფურში,
არ არის ამ ცხოვრების
ბაიბურში!..

მუქთანორა

მიირთმევს ორ სუკს,
სამ სალათს
და არაყს,
როგორც სამსალას!..

აცლის ჯამსა და
სინს ილაჯს!..
არ გაწყდა მისი
სინსილა!..

» ლექსი « შიკრი

(თითქმის მანიაკოსკინეპურად)

იცვამს მხოლოდ
„საფარს“,
„კრანგლურსა“ და
„ლევის“!..

იმედი აქვს
მარად
„ლევის“, „ლევის“,
„ლევის“!..

აფრიალებს
დრომად
ღრუობათა
ღვეიზს,

ანუ,
მისი
სიტყვით:
„ლევის“,
„ლევის“,
„ლევის“!..

მიანნია
არად
თვით სამოთხის
სე ვის,

ტრფიალია
მისი

რხვეის,
რხვეის,
რხვეის!..

მაგრამ
მოვა
უამი
ცთუნებათა
ქლევის

და საკანში
ღამის
თევის,
თევის,
თევის!..

მაშინ
იტყვის:
„ჩაო,
ტკბილო
სიცოცხლო,

ვერ გიხილო
მეტჯერ,
ლეო,
ლეო,
ლეო!“

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი


ნახ. ა. ელისაშვილისა
(„პროპოდილი“)



პრაუმი: — მე შეგყარეთ და მევე გაყრით!

ანტონ ჩახოვი

საქართველო
საბჭოთა კავშირი



საინტენდანტო სამმართველო სოფილი მოხელე, გადამდგარი კოლეგიის მდივანი ლახმატოვი უკდა თავის ბინაზე სუფრას. მეთექვსმეტე ჭიქას ვიახლებოდათ და თან ძმობაზე, მეგობრობა და თავისუფლებაზე ფიქრებით ნეტარებდა. უცებ... რას ხედავს! — ლამპის იქიდან ეშმაკი არ უყურებს?! ოღონდ, ნუკი შეგეშინდებათ, ჩემო კარგო მკითხველო! თქვენ იცით, ეშმაკი რაა და ვინაა? ესაა სასიამოვნო გარეგნობის, ჩექმასავით შავიფათიანი, წითლადმოყვარყვალეთვალევა ახალგაზრდა კაცი. თუმცა უცოლოა, მაგრამ თავზე მაინც რქები ადგას.. თმა á la კაპულის მანერითა აქვს დავარცხნილი. ტანი მწვანე ბანჯვლითა აქვს დაფარული და ძაღლის ფსუტის სუნი ახდის. უკანალთან ისრისბოლოიანი კუდი დასთრევს... თითების ნაცვლად ბრჭყალები აქვს, ფეხების მაგივრად — ცხენის ფლოკვები. ეშმაკი რომ დაინახა, ლახმატოვი შეცბა, მაგრამ გაახსენდა, რომ მწვანე ეშმაკებს ერთი სულელური ჩვევა აქვთ — დვინომოკიდებულ ხალხს მიადგებიან ხოლმე — და მალე დამშვიდდა.


— პატივი მაქვს, გესაუბროთ!.. ვისთან ვსაუბრობ? — ჭკითხა მან დაუპატიუებელ სტუმარს.

ეშმაკი სირცხვილისაგან გაჭარხლდა და თვალები დახარა.

— ნუ მორცხვობთ. — განაგრძო ლახმატოვმა, — ახლოს მოდიეთ, მოიწიეთ, მოიწიეთ!.. მე ცრურწმენებისგან თავისუფალი კაცი ვარ და ჩემთან შეგიძლიათ გულწრფელად ილაპარაკოთ!.. შეგიძლიათ, გული გადმისხნათ!.. აბა, მითხარით, ვინა ხართ?!

ეშმაკი მიუნდობლად მიუახლოვდა ლახმატოვს. კუდი მოიკეცა და თავაწიანად მიესალმა.

— მე ვარ ეშმაკი, ანუ ტარტაროზი... — ბრძანა სტუმარმა, ვინც იყო, — მისი აღმატებულების, ჯოჯოხეთის კანცელარიის დირექტორის ბატონ სა-



ტანას განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებელი მოხელე გახლავართ!

— გამიგონია, გამიგონია!.. ძალზე სასიამოვნოა! დაბრძანდით! არაყს ხომ არ მიირთმევდით? დიდად მოხარული ვარ!.. რას საქმიანობთ, გთხოვთ მიბრძანდით!..

ეშმაკი კიდევ უფრო აიღეწა.

— კაცმა რომ თქვას, გარკვეული საქმე არცა მაქვს... — ხველება აუტყდა, მაგრამ „რებუსიდან“ თვალს მაინც არ სწევდა. — წინათ ჩვენ ნამდვილად გვქონდა საქმე... ადამიანებს ვაცდენდით... სიკეთის გზიდან ვახვევიანებდით და სიავის გზაზე ვაყენებდით... ახლა კი ამგვარი რამ, ანტრ-ნუ სუადი,*) გახვრეტით შაურიანად არ ღირს. თანაც, ხალხი ჩვენზე, ეშმაკებზე, უფრო ეშმაკი გახდა!.. როგორი საქმეა, აცთუნო კაცი, ვინც უნივერსიტეტში ყველა მეცნიერებას დაეწაფა, რაც ცეცხლი, წყალი და სპილენძის მიღებია, სულ გაიარა! როგორ გინდათ, მე თქვენ გასწავლოთ მანეთის მოპარვა, თუკი ჩემს დაუხმარებლად უკვე ათასები გაქვთ აწაბნული?

— ეგ ეგრეთა... მაგრამ, მაინც, რაღაცას ხომ აკეთებთ?..

— კი ვაკეთებთ... უწინდელი ჩვენი თანამდებობა ახლა მხოლოდ ნომინალური შეიძლება იყოს, მაღალი წოდების ქალებს ვაცდენთ, უწვევრულ ჭაბუკებს ვაბრიყვებთ და ლექსების წერას ვაწყებინებთ, მივრავ ვაჭრებს ცეცხლს ვუნთებთ, რომ სარკეები ლეწონ... პოლიტიკაში, ლიტერატურასა და მეცნიერებაში კი ჩვენ კარგა ხანია არ ვერვცით... ამ საქმეებისა ჩვენ ფრჩხილისოდენაც კი არაფერი გაგვეგება... ბევრი ჩვენთაგანი „რებუსში“ თანამშრომლობს, ზოგმა კი ჯოჯოხეთი მთლად მიატოვა და ხალხში გავიდა... ადამიანებში გადაწერი-

ლმა ამ თადარიგის ეშმაკებმა მდიდარი ვაჭრის ქალები შეირთეს და ახლა დიდებულად ცხოვრობენ. ზოგი მათგანი ადვოკატურას მისდევს, სხვები გაზეთებს უშვებენ, საერთოდ, ძალზე საქმიანი და საპატივცემულო ხალხია!

— მაპატიეთ, ერთი, ცოტა არ იყოს, საჩოთირო კითხვა უნდა მოგცეთ: ჯამაგირი როგორი გაქვთ?

— ჩვენთვის ყველაფერი ისევ ისე დარჩა...— მიუგო ეშმაკმა.— შტატი ოდნავადაც არ შეცვლილა... უწინდებურად ბინაში, განათებასა და გათბობაში არაფერს ვიხდით... ჯამაგირს კი ჩვენ არ გვაძლევენ, რადგან შტატარეშებდად ვითვლებით და ეშმაკობა საპატიო თანამდებობაა, საპატიო წოდებაა. საერთოდ კი, გულახდილად უნდა გითხრათ, გვიჭირს ცხოვრება, გვიჭირს!.. კიდევ ადამიანებს უნდა ვუმაღლოდეთ, ქრთამის აღება გვასწავლეს, თორემ აქამდე ჩვენი ბურღლა არ დარჩებოდა. ქრთამებითა და გვიღვას სული!.. კლიენტებს მოამარაგებ რაღაც რაღაცა საქონლით, ჰოდა... აქაფავ რაღაცას... ბატონი სატანა დაგვიბერდა, სულ ცირკის საყურებლად დაიარება, ახლა იმის თავი სადა აქვს, არკვიოს რა და როგორ...

ლახმატოვმა ეშმაკს ჭიქა შეუვსო. მანაც დაცალა და ენად გაიკრიფა. ჯოჯოხეთის ყველა საიდუმლო სულ გადმოფერთხა, გული გადაუშალა კაცს, გვარიანად წაუტირა კიდევ და ისე მოაწონა თავმასპინძელს, რომ იმან თავისთან დაიტოვა ღამის გასათევად.

ეშმაკს ღუმელში ეძინა და მთელი ღამე აბოღებდა. დილით იგი გაქრა.

1886 წ.

თარგმნა ჯ. უმბერ თითმერიამ


ილუსტრაციები ზ. ფორჩხიძისა

* ჩვენში ღარჩეს (ფრანგ.).



— დამაკელი, ხომ?!
— არა, ბიჭო!.. ტყუილად დაგიჯდები აქ, ამ წვიმაში!..

კელაბობიური პარალოქსები



● **სკოლაში** მანქანით დაჰყავდათ, კლასიდან კლასში მანქანით გადაჰყავდათ და მანამ არ მოეშენენ, სანამ მანქანით წასაყვანი არ გახდა!..

● **ოთხი** კლასი რომ დაამთავრა, მშობლებმა ყველზე იაპონური საათი დაჰკიდეს, თანაც შეჰპირდნენ, შემდგომ საფეხურებზე უფრო დიდ საჩუქრებს მიიღებო: რვა კლასს რომ დაამთავრებს, ალბათ, მაგიდის, ზოლო საშუალო სკოლას რომ დაამთავრებს — კედლის საათს დაჰკიდებენ!..

● **ბაკვეთილაზზე**, ლექციებსა და გამოცდებზე იოლად გაძვრა კარნახით, სხვისი ნამუშევრების გადაწერითა და შპარგალკებით, შემდეგ ცხორებაშიც სადაც გაძვრა, ყველგან სხვის ბაღჩაში აღმოჩნდა, სანამ ბოლოს საკუთარ საკანში არ მოხვდა!..

● **ზოგჯერ** მედლისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში იმდენი მოკავშირე, დამხმარე და მფარველია ჩაბმული აქტიურად, რომ ძნელი დასადგენია, სინამდვილეში ვინ დაიმსახურა მედალი!..

● **ზოგი** დამრიგებელი თურმე თვითონაც არ თაკილობს ზოგიერთი მშობლის დარიგებულის მიღებას.

● **ზოგი** პედაგოგი, მართალია, მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე დახელოვდა, მაგრამ მაინც რეპეტიტორობაში უფროა დახელოვებული, ვიდრე პედაგოგიკაში.

აპოლონ ბასილაია

მაქირაჟი გასეკონად

„ტურიზმი ჯანმრთელობის გაკაფების ყველაზე მასობრივი საშუალებაა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბუნების წილში გასულ ხანშიშესულ ტურისტსა და მოვარჯიშეს ჩვენი დასცინიან ხოლმე“.

ბაკეთეზილან

მე ბილიკზე ვიდექ
ზურგზე მწვანე ჩანთით,
შენ კი, მკერდმიმხმარი,
ქმამბიჭებთან მღვარი,
მხიარული ჩანდი!..

შეუყვეით დინჯად
ჯანმრთელობის ბილიკს
და ვუსმენდით ყველა,
როგორც ბოროტ წყველას,
შენს დამცინავ ქილიკს!

მაგრამ, მოქირაჟილევ,
გაგახსენებ იმ ფაქტს,
რომ ვარჯიშის თმობით,
ჯდომა-წოლის ტრფობით
იანსლოვებ ინფარქტს!



ჩვენ ბუნების მკერდზე
ვინებივრეთ დიდხანს,
შენ კი, როგორც ჩვარი,
სანახევროდ მკვლარი,
სახლში მთვრალი მიხვალ!

პოლა, მოქირაჟილევ,
ამას სწადი შენ როს,
ტვინის გამომღაპობი
სივარტით, არყით,
იანსლოვებ სკლეროზს!..

და როს მელნისაგან
ვვრ გაარჩევ ღვინოს, —
დაცინვის და რისხვის
ვინ უფროა ღირსი, —
მაშინ დავადგინოთ!





უსიტყვოდ

ინტერვიუ

იუმორისა

სულ ახლანახან ჩვენს ქუჩებში გამოჩნდა ნაყინი, რომელსაც თამამად შეიძლება „სასიდედრო“ ეწოდოს. მისი დამამზადებლები ჩვენს კორესპონდენტს ცივად შეხვდნენ, მაგრამ შეკითხვებზე თბილად უპასუხეს.

კითხვა: რა თვისებებით გამოირჩევა თქვენი ნაყინი?
პასუხი: ჩვენი ნაყინი გამოირჩევა დიდი ტრანსპორტაბელობით, ე. ი. იტანს მეზავრობას. იგი სწრაფად არ დნება, რაც ხელს უწყობს სანარკლივი დროით მის გამოყენებას. მეტიც, იგი სელიდან გავარდნისას არ ტყდება. ცხიმის სიმცირის გამო მისგან გამოირიცხულია ტრანსკლიის დალაქებება. სასარგებლოა დიაბეტიკანებისთვისაც.

კითხვა: რით განსხვავდება იგი ცნობილი სოჭური ნაყინისაგან?

პასუხი: ჯერ ერთი, ძვირფასია, ე. ი. უფრო ძვირად იყიდება, მეორეც, მასზე უფრო თეთრია და, რაც მთავარია, გაცილებით ცივია.

კითხვა: რატომ ეძახიან „სასიდედროს“?

პასუხი: ეს კვლევი მისახვედრია: იგი სომ ისეთი „ცივი იარაღია“, რომელიც კვალს არ ტოვებს... ამიტომაც მას უმეტესად სიდედრებისაგან გამწარებული სიძებები ყიდულობენ...

კითხვა: რას გადასცემდით ჩვენს მკითხველებს?
პასუხი: აღნიშნული ნაყინი ბავშვებს დაუმართლ და მხოლოდ დანიშნულებისამებრ გამოიყენონ..

ჩაიწერა ზაურ ბაღვაშილი



„სოფელ გუმბარის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკირებმა ირგვლივ ატმოსფერო დაბინძურა, განვიცდით სასმელი წყლის ნაკლებობას.“ — გვერდნენ წყალტუბოს რაიონის სოფელ ბანოჯიდან.

წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ამის თაობაზე გვიპასუხა: „წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეა. აღნიშნულ ტერიტორიაზე მოქმედ, დიდი ხნის წინ აგებული კირის საწვავ მარტივი ტიპის ლუმენებში იყენებენ მურა ნახშირს, რაც იწვევს გარემოს დაბინძურებას. საკირების სიმძლავრე წელიწადში 8.000 ტონას შეადგენს. გამოშვებული პროდუქცია, რომელიც მიეწოდება ზონის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, წარმოება-დაწესებულებებს და მოსახლეობას, მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს გარდად მოთხოვნილებებს, რის გამოც მოქმედი საკირების დაკეტვა არ ხერხდება.

ტერიტორიის დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით 1987 წლისათვის გათვალისწინებულია საკირების ბაზაზე 5.000 ტონის სიმძლავრის, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მექანიკური ქარხნის მშენებლობა, რაც საბოლოოდ გადაჭრის ამ პრობლემას.

რაც შეეხება სოფლის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების უზრუნველყოფას, გუმბარის კოლმეურნეობას 1986 წლის საფინანსო გეგმაში ჩასმული აქვს 1972 წელს აგებული წყალსადენის აღდგენა-რეკონსტრუქციების სამუშაოები“.

რედაქციაში შემოსული უსახელო წერილით გვატყობინებდნენ, რომ თბილისის მე-9 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოში დაბალ ღონეზე დგას ავტომობილების ტექნიკური მომსახურების საკითხი, ადგილი აქვს ავტოსატრანსპორტით შესრულებულ სამუშაოებში მიწერებს, სათანადო ყურადღება არ ექცევა ხაზზე გასვლისას ავტომობილების კონტროლს.

„წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმების შემდეგ დადასტურდა.“ — გვერს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, — „აღნიშნული ნაკლოვანებების გამო სამინისტროს კოლეგიამ საწარმოს დირექტორი აბს. მ. ბერიკაშვილი გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო საწყობის გამგეობა ახმედოვი მიეცა პასუხისმგებლობა.

ამჟამად საწარმოში მიმდინარეობს შენობის რეკონსტრუქცია და კაპიტალური შეკეთება, რის გამოც საყოფაცხოვრებო მომსახურების ზოგიერთი ობიექტი ჭერჭერობით არ არის მწყობრში ჩამდგარი“.

მომ. ა. ხოზრევანიძე ხულოს რაიონიდან გამოგზავნილ წერილში უჩიოდა რესტორან „კოლხეთის“ მომსახურე პერსონალს. აღნიშნული წერილი რედაქციამ გადაუგზავნა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს, საიდანაც მოგვეწერეს: „წერილში მოყვანილი ფაქტები სწორია. მიმტანი მ. ა. ომაძე, რომელიც ცუდად მოემსახურა მოქ. ა. ხოზრევანიძეს, ჩამოქვეითდა. მოღარე ა. გრძელიძეს გამოეცხადა საყვედური. ობიექტის მუშაობაზე სუსტი კონტროლისათვის მ. ჭამაძე გაათავისუფლებულია დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მოვალეობისაგან.“

„ბანკოტარებას ქვეყნებს ექსპლოატაციას უწევს ყველა იმპერიალისტური სახელმწიფო, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი ამას უდავოდ ყველაზე უტიფრად აკეთებს. არაექვივალენტური გაცვლა, უთანასწორო ვაჭრობა, მაქინაციები და დისკონტის განაკვეთების თვითნებური დაწესება, ტრანსეროვნული კორპორაციების ტუმბო — ყველაფერი ერთი და იგივე მიმართულებით მოქმედებს. ისინი კიდევ უფრო მეტად აღარ იბეგენ და აღატაკებენ ერთთ, ამდღარებენ — მეორეთ“.

მ. ს. გორბაჩოვი



ღარიბს ართმევს, მდიდარს აძლევს..

მ. ს. გორბაჩოვი



სატირიკა და იუმორის შურნალი „ნიანგი“ № 12 (1718). ივანისი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარამე, ჭემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია (მხატვარ-რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სინარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსიითი.

ტექნიკური რედაქტორი ირაკლი ღუნღუა

გალანცა ასაწყობად 30.05. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.06. 86 წ. ქალაქის ზომა 60X90/4 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5, საარტიცხვო-სავაგომომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კბ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14. შეკვ. №1367 შე 13702 ტირაჟი 143.000. შურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან — მემანქანის — 99-76-69.

სატირიკო - юмористический журнал «НИАН-ГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ. ინდექსი 76137

